ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5608654

ნომერი: AR1851012

თარიღი : 16.09.2021

გაცემის თარიღი : 22.09.2021

გაცნობის თარიღი : 22.09.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , II და III მიკრო/რაიონს შორის , ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ (ნაკვეთი 01/079);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბენდელიანი პ/ნ 01001029584
- თბილისი გლდანი IIIა მ/რ კორ. 17 ბ. 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 16

სექტემბერს №AR1851012 განცხადებით მომართა გიორგი ბენდელიანმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღომის დასახლება, II და III მიკრო რაიონს შორის, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.001.259) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 04 სექტემბრის №5091163 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 სექტემბრიდან 2022 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად იყო დაფიქსირებული საზაფხულო ფართობები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი +5.50, +8.55, +11.60, +14.65, +17.70, +20.75, +23.80, +26.85, +29.90, +32.95 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები შეადარა იმავე ნიშნულების შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ შეთანხმებულ ზემოაღნიშნულ ნიშნულების არქიტექტურულ გეგმებზე საზაფხულო ფართობები არასწორად იყო დატანილი. ასევე, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი +5.50, +8.55, +11.60, +14.65, +17.70, +20.75, +23.80, +26.85, +29.90, +32.95 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები არ იცვლება უბრალოდ აღნიშნულ გეგმებზე ხდება საზაფხულო ფართობების შესწორება. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებით შეთანხმებული საზაფხულო და საერთო ფართობების ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული +5.50, +8.55, +11.60, +14.65, +17.70, +20.75, +23.80, +26.85, +29.90, +32.95 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების არქიტექტურული გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4949794 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.